საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოწვევა სატენდერო წინადადების წარდგენაზე

საქართველო

რეგიონული განვითარების პროექტი II

ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული შადრევნის რეაბილიტაცია

პროექტის ნომერი: *P130421*
კონტრაქტის/ტენდერის #: IBRD/AF/CW/NCB/01-2018

საქართველოს განზრახული აქვს მიიღოს მსოფლიო ბანკისაგან (The World Bank) დაფინანსება **რეგიონული განვითარების მეორე პროექტის (RDP II)** განსახორციელებლად და ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: **ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული შადრევნის რეაბილიტაცია.**

ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული მუსიკალური შადრევანი წარმოადგენს გასული საუკუნის 80–იანი წლების კომპლექსურ ნაგებობას, ის შედგება სხვადასხვა ზომის სამი წრიული აუზისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მართკუთხა ტიპის აუზით, მასზე მოწყობილია მცირე ზომის გადასასვლელი ხიდი. მათთან ახლოს განთავსებულია შადრევნის მართვისა და სატუმბო სადგურის შენობა. შადრევნის ყველა კონსტრუქციული ელემენტი შესრულებულია რკინაბეტონისაგან, ხოლო მართვისა და სატუმბო სადგურის შენობა წარმოადგენს მიწისზედა ერთსართულიან ნაგებობას მიწისქვეშა სარდაფით.

ქ. წყალტუბოს სპეციფიკური კლიმატური პირობების შესწავლის საფუძველზე არსებული შადრევნისათვის შერჩეული იქნა შადრევნის თანამედროვე სახეობა ე. წ. „მშრალი ინტერაქტიული შადრევნის“ ტიპი, რაც შესაძლებლობას იძლევა მის ირგვლივ მყოფი ადამიანები არ იყვნენ მხოლოდ მაყურებლის როლში და შესაძლებლობა ექნებათ ისეირნონ შადრევნის შიგნით მოწყობილ ბაქანზე. გამომდინარე საჭიროებიდან აქვე უნდა მოეწყოს ტუალეტის შენობა მაყურებლებისა და პარკში დამსვენებლებისთვის. ზემოთხსენებული შენობა უნდა მოიცავდეს სივრცეებს ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, შენობაში უნდა განთავსდეს მომსახურე სივრცე (მოვლა-პატრონობისთვის საჭირო სივრცე), შენობა უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირებისთვის.
კომპლექსის ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი სამუშაოების ჩატარება:

<u>შადრევნის მიმდებარედ ტუალეტის შენობის საპროექტო სამუშაოები;</u>
<u>შადრევნის მიმდებარედ ტუალეტის შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;</u>
<u>შადრევნის მოპირკეთების და კომუნიკაციების დემონტაჟი;</u>
<u>შადრევნის შიდა და გარე ზედაპირის მოპირკეთება;</u>
<u>ტუალეტის მოწყობა;</u>
<u>შადრევნის, მომსახურე შენობის და ტუალეტის ელექტრო, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოწყობა;</u>
<u>შადრევანში ბაქნის ფრქვევანების და ტუმბოების მოწყობა;</u>
<u>შადრევნის განათების მოწყობა;</u>
<u>შადრევნის ირგვლივ არსებული საპარკო სკამების რეაბილიტაცია.</u>

თითოეული ობიექტის მუშა პროექტი შედგება შემდეგი ქვე-პროექტებისგან ან წარმოადგენს დამოუკიდებელ პროექტს;

- *საპროექტო სამუშაოები*
- *სადემონტაჟო სამუშაოები*
- *სამშენებლო-სამონტაჟო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები;*
- *ელექტრომომარაგების შიდა და გარე ქსელების სამუშაოები;*
- *წყალსადენ-კანალიზაციის შიდა და გარე ქსელის სამუშაოები (რომელიც მოიცავს წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის მშენებლობას)*
- *გათბობა გაგრილებისა და ვენტილაციის ქსელის სამუშაოები;*

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

I	<u>საერთო სამშენებლო სამუშაოები</u>			
1	დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა მშენებლობის ორგანიზაციისთვის.	მ2	497	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 I ქვეთავისა
2	შადრევნის მოპირკეთების დემონტაჟი	მ2	1263,5	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 II ქვეთავისა
3	შადრევნის ბეტონით მოსაპირკეთებელი სამუშაოები	მ3	63,3	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 III ქვეთავისა
4	შადრევნის სხვა და სხვა იზოლაციის სამუშაოები	მ2	1145	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 III ქვეთავისა
5	შადრევნის ქვით მოსაპირკეთებელი სამუშაოები	მ2	722,17	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 III ქვეთავისა
6	შადრევნის ბაქნის მოწყობა	მ2	534.55	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 IV ქვეთავისა
7	მიმდებარე ტერიტორიის მოპირკეთების სამუშაოები	მ2	495	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 5 ქვეთავისა
II	<u>წყალ-კანალიზაციის სისტემა</u>			
1	წყალმომარაგების გარე სისტემის მოწყობა სხვადასხვა 75მმ-140მმ მილებით	მ	497	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 2 ქვეთავისა
2	შადრევნის შიდა მართვადი წყლის მოწოდება-გაფრქვევის და კომპლექსური განათების მოწყობა	ერთეული ავზისთვის	4	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 2 ქვეთავისა
III	<u>ელ. სისტემა</u>			
1	სხვადასხვა კვეთის ელ. გაყვანილობების მოწყობა და ამისთვის განკუთვნილი	მ	330	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული

	საექსკავაციო, მოწყობის შემდგომი აღდგენა-მოპირკეთების სამუშაოები.			დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 3.I ქვეთავისა
2	ელ. ფარის მოწყობა	კომპლ	1	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 3.II ქვეთავისა
3	შადრევნის შიდა ელექტროობა	გრძ.მ.	3600	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 3.III ქვეთავისა
4	სუსტი დენები - აუდიო სისტემა	მ2	218.98	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-1 4 ქვეთავისა
IV	<u>შადრევნის სამართავი შენობის რეაბილიტაცია</u>			
1	შენობის გამოუსადეგარი დეტალების დემონტაჟი და სამშენებლო ნაგვის გატანა	მ3	18	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-1 I ქვეთავისა
2	მიწის სამუშაოები	მ3	146,91	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-1 II ქვეთავისა
3	ბეტონის სამუშაოები	მ3	11,2	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-1 II ქვეთავისა
4	შენობის სხვადასხვა დეტალების (იატაკები კედლები, ჭერები, კიბე და სახურავი) მოწყობა- აღდგენის და თბოსაიზოლაციო სამუშაოები	მ2	550	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-1 ქვეთავისა
5	შენობის შიდა და გარე წყალმომარაგების მოწყობა შესაბამისი ფიტინგებით და მოწყობილობებით	მ	50	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-2 III ქვეთავისა
6	შენობის შიდა და გარე კანალიზაციის მოწყობა შესაბამისი ფიტინგებით და მოწყობილობებით	მ	36	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-2 I-II ქვეთავისა
7	მართვის შენობაში საფილტრი სატუმბო მოწყობილობის მონტაჟი	ერთეული	2	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-2 I-IV ქვეთავისა
8	გათბობა, გაგრილება და ვენტილაციის ქსელის მონტაჟი	ერთეული	1	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-3 ქვეთავისა
9	მართვის შენობის შიდა გარე ელ მომარაგების მოწყობა სხვადასხვა მოწყობილობებით და სხვადასხვა კვეთის სადენებით	მ	266,5	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-4 და 5 ქვეთავისა
10	ავეჯი	ერთეული	8	თანახმად მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტისა და თანდართული დეტალური სპეციფიკაციების B-1-2-6

				ქვეთავისა
V	<u>შადრევნის მიმდებარე ტუალეტის შენობის მოწყობა</u>			
1	საპროექტო, ნარჩენი ნაგებობის სადემონტაჟო (საჭიროების შემთხვევაში), სამშენებლო-სამონტაჟო და მოპირკეთების სამუშაოები რომელიც შესაბამისობაში იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში შემავალ ზოგად სპეციფიკაციებთან და შეთანხმებული ადგილობრივ მმართველობასთან და სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან. ასევე, დემონტაჟის შემდგომ სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირება და მუნიციპალიტეტთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე დაყრა.	ლარი	50000	თანახმად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა

სამუშაოების ხანგრძლივობაა **7 (შვიდი) თვე** სამუშაოების დაწყებიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შორის არის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
ა) კონკურსანტის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა დაანგარიშებული მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ერთობლივი დადასტურებული გადახდებიდან, ბოლო სამი (3) წლის (2015, 2016, 2017წწ.) განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ **1,140,000.00** ლარის ექვივალენტი;

ბ) კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ან არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა ლიკვიდური აქტივები, დაუგირავებელი უძრავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური რესურსები, გარდა სხვა საკონტრაქტო საავანსო თანხებისა, მინიმუმ **325,000.00** ლარის ექვივალენტის ოდენობით;

გ) ხელმისაწვდომი წლიური შესაძლებლობა არანაკლებ **2,240,000.00** ლარისა.

დ) კონკურსანტს, 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე, წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული სულ მცირე ერთი (1) მსგავსი სახის სამუშაოების კონტრაქტი არანაკლებ **1,000,000.00** ლარის ექვივალენტის ღირებულებით, ან ორი (2) კონტრაქტი (აღნიშნული ხასიათის), თითოეული არანაკლებ **500,000.00** ლარის ექვივალენტის ღირებულებით, მაგრამ ჯამურად არანაკლებ **1,000,000.00** ლარის ექვივალენტის ღირებულებით.

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს განახორციელონ **ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული შადრევნის რეაბილიტაცია.**

2. კონკურსი ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2011 წლის იანვარში გამოცემული და 2014 წლის ივლისში განახლებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებითა და გრანტებით განხორციელებული საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა უფლებამოსილ მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში მოცემული განსაზღვრების შესაბამისად. აგრეთვე, გთხოვთ იხილოთ ზემოაღნიშნული მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულების პარაგრაფები 1.6 და 1.7, რომელიც ეხება ინტერესთა კონფლიქტს.

3. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

4. მონაწილემ საკონკურსო წინადადების ფასი უნდა დააფიქსიროს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წინადადება იქნება უარყოფილი.

5. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ვადით: 1 (ერთი) წელი სატენდერო წინადადებების გახსნის დღიდან.